საპარლამენტო ღიაობა ქართული მედიის ყურადღების ცენტში

#OpenParliament

პრესრელიზი

ლიკანი. 16 მარტი 2019 წელი – **წამყვანი ქართული მედიასაშუალებების წარმომადგენელი 22-ზე მეტი ჟურნალისტი შეხვდა ღია მმართველობის მუდმივმოქმედ საპარლამენტო საბჭოსა და მისი საკონსულტაციო ჯგუფის წევრებს. შეხვედრის მიზანი ჟურნალისტებისთვის საბჭოს საქმიანობისა და საკანონმდებლო ღიაობის კუთხით საქართველოს პარლამენტის მიღწევების გაცნობა იყო.** შეხვედრა ჩატარდა საქართველოს პარლამენტის მიერ ევროკავშირის (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერითა, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტთან (IDFI) თანამშრომლობით.

შეხვედრაზე ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს თავმჯდომარე **ირინა ფრუიძემ** ფართოდ ისაუბრა საბჭოს როლსა და ფუნქციებზე, რაც მოიცავს საპარლამენტო ღიაობის უზრუნველყოფას, ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ფარგლებში ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის შემუშავებას და მათი განხორციელების მონიტორინგს.

„წლების წინ, საქართველომ ამბიციური განაცხადი გააკეთა, როდესაც ის გახდა ერთ-ერთი პირველი ქვეყანა მსოფლიოში, რომელმაც ღია მმართველობის პრინციპი საპარლამენტო დონეზე დანერგა. ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგად შეიქმნა შესაბამისი საკანონმდებლო საფუძველი და შემუშავებულ იქნა ტექნოლოგიური მექანიზმები, რათა ხელი შეეწყოს პარლამენტის მეტ გამჭვირვალობას, ანგარიშვალდებულებასა და მოქალაქეთა ჩართულობას საკანონმდებლო პროცესებში. ყველა ეს რეფორმა შეუძლებელი იქნებოდა პარლამენტისა და სამოქალაქო საზოგადოების შორის ნაყოფიერი თანამშრომლობის გარეშე,“ – აღნიშნა **ირინა ფრუიძემ.**

„მედია არის უმნიშვნელოვანესი საშუალება მთავრობისთვის საკუთარი საქმიანობის შესაფასებლად და გასაუმჯობესებელი სფეროების აღმოსაჩენად. მედია, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან ერთად, ხელს უწყობს ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის ინფორმაციის გაცვლას, რაც, საბოლოო ჯამში, ინფორმირებული საზოგადოებებისა და სრულფასოვანი დემოკრატიის ჩამოყალიბებისთვის აუცილებელი წინაპირობაა,“ – ამბობს **გიორგი კლდიაშვილი,** IDFI-ის აღმასრულებელი დირექტორი.

ღია პარლამენტი არის ერთ-ერთი მექანიზმი, რომლის გამოყენებითაც საქართველო ღია მმართველობის პარტნიორობაში (OGP) არის ჩართული. OGP არის საერთაშორისო პლატფორმა, რომელიც აერთიანებს 70-ზე მეტ ქვეყანას, და ეხმარება მთავრობებს გახდნენ უფრო ღია, ანგარიშვალდებული და მოქალაქეზე ორიენტირებული. 2015 წლიდან საქართველოს პარლამენტმა სამი სამოქმედო გეგმა დაამტკიცა: 2015-2016, 2017 და 2018-2019 წლების გეგმები. პირველი ორი სამოქმედო გეგმა 34 ვალდებულებისგან შედგებოდა, რომელთაგან 15 სრულად, ხოლო 14 ნაწილობრივ შესრულდა. მიმდინარე გეგმა შედგება 5 ამბიციური ვალდებულებისგან, რომელთა მიზანია ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვით პარლამენტის ეფექტურობისა და გამჭვირვალობის განმტკიცება და საქართველოში საპარლამენტო დემოკრატიის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

საკონტაქტო ინფორმაცია:

- *მადონა ნოზაძე, საქართველოს პარლამენტი, mnozadze@parliament.ge*
- *მერი მახარაშვილი, IDFI, m.makharashvili@idfi.ge*
- *თამარ მიქაძე, ევროკავშირი საქართველო, tamriko.mikadze@eeas.europa.eu*
- *სოფო ჭიჭინაძე, UNDP საქართველო, sophie.tchitchinadze@undp.org*